



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №29
თებერვალი, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ლიკა ჩხეტიანი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №29 ბიულეტენს, სადაც აღწერილია 2022 წლის თებერვალში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

I. საკრებულოებში თანამდებობების განაწილება

2022 წლის თებერვალში ზოგიერთ საკრებულოში კვლავ გაგრძელდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაწყებული თანამდებობების განაწილების ხანგრძლივი პროცესი. 14 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის“ ნევრი გიგა ფარულავა აირჩია.¹ აღსანიშნავია, რომ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა „ქართულმა ოცნებამ“.² 23 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტშიც თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის“ ნევრი ირაკლი კაჭარავა აირჩიეს.³ თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით.⁴ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, რომლებიც ამ შემთხვევაშიც არ ესწრებოდნენ სხდომას, ამტკიცებდნენ, რომ საკრებულომ თავმჯდომარე სხდომის ჩასატარებლად საჭირო კვორუმის (17 დამსწრე) არარსებობის პირობებში აირჩია.⁵ სენაკის საკრებულოში სულ 33 ნევრია, აქედან ოპოზიციურ პარტიებს 17 ნევრი წარმოადგენდა, ერთ-ერთმა მათგანმა კი მანდატზე უარი დეკემბრის დასაწყისში თქვა.⁶ 9 თებერვალს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ახალი ნევრის უფლებამოსილება ცნეს.⁷ „ქართული ოცნება“ სწორედ ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევდა პროცედურულ დარღვევად, რადგან, მათი მტკიცებით, ახალი ნევრის უფლებამოსილების ცნობამდე, 16 დეპუტატს სხდომის გახსნის უფლება არ ჰქონდა.⁸ სენაკის საკრებულოში კი განაცხადეს, რომ კანონი არ დაურღვევიათ, რადგან 23 თებერვალს ახალი სხდომა არ ჩატარებულა, ეს იყო 3 დეკემბრის კვორუმით გახსნილი და გადადებული სხდომის გაგრძელება.⁹ „ქართულმა ოცნებამ“ სენაკის საკრებულოს უფლებამოსილების დროებით

¹ „ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე გახარიას პარტიიდან აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 14 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31702844.html>, განახლებულია: 14.03.2022.

² იქვე.

³ „სენაკის საკრებულოს თავმჯდომარედ გახარიას თანაგუნდელი აირჩიეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31718658.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁴ იქვე.

⁵ „ოპოზიციამ სენაკის საკრებულოს თავმჯდომარე პროცედურული დავის ფონზე აირჩია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/474544>, განახლებულია: 14.03.2022.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ „გადაწყვეტილება კვორუმის გარეშე? - რა მოხდა სენაკის საკრებულოში?“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 10 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31696415.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁹ „ქართული ოცნება“ ითხოვს, სასამართლომ სენაკის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღების უფლება დროებით შეუჩეროს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31718266.html>, განახლებულია: 14.03.2022.

II. შუალედური არჩევნები რუსთავსა და ბათუმში

ცესკოს 1 თებერვლის განკარგულებით, 2 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები ჩატარდება.¹¹ რუსთავში ამომრჩევლები საქართველოს პარლამენტის, ხოლო ბათუმში - საკრებულოს მაჟორიტარს აირჩევენ.¹² შუალედური არჩევნების დანიშვნა რუსთავში მაჟორიტარი ნინო ლაცაბიძის მერად არჩევამ განაპირობა, ბათუმში კი, საკრებულოს მაჟორიტარი ნევერი ჯემალ ფუტკარაძის გარდაცვალებამ.¹³ ბათუმში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კანდიდატად გარდაცვლილი დეპუტატის შვილის, მათე ფუტკარაძის კანდიდატურა, წამოაყენა.¹⁴ მისი კონკურენტი „ქართული ოცნებიდან“ აჭარის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე იქნება.¹⁵ რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატად „ლელომ“ ყოფილი პარლამენტის ნევერი ბადრი ჯაფარიძე დაასახელა.¹⁶

III. ცესკოს თავმჯდომარის შერჩევა

15 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარედ გიორგი კალანდარიშვილი აირჩია.¹⁷ კალანდარიშვილმა დეპუტატთა ხმების 3/4-ის მოპოვება ვერ შეძლო, რაც მას პოსტზე 5 წლის ვადით დარჩენის შესაძლებლობას მისცემდა.¹⁸ იგი უბრალო უმრავლესობით (84 ხმა) აირჩიეს, ამიტომ, თავმჯდომარის პოსტს კვლავ 6 თვის ვადით დაიკავებს.¹⁹ კალანდარიშვილმა ოპოზიციის მხარდაჭერის და, შესაბამისად, კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება ვერც 2021 წლის აგვისტოში შეძლო და ცესკოს 6 თვის ვადით ხელმძღვანელობდა.²⁰ გიორგი კალანდარიშვილთან ერთად 6 თვის ვადით ასევე აირჩიეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორი ახალი წევრი: მაია ზარიძე და გიგა ცაცაშვილი.²¹

აღსანიშნავია, რომ ცესკოს თავმჯდომარე და წევრები 2021 წლის 17 დეკემბერს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე აირჩიეს.²² კერძოდ, ცვლილებების შეტანამდე

¹⁰ „ქართული ოცნება“ ითხოვს, სასამართლომ სენაკის საკრებულოს გადანწყვეტილების მიღების უფლება დროებით შეუჩეროს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31718266.html>, განახლებულია: 14.03.2022.

¹¹ „2 აპრილს ბათუმსა და რუსთავში შუალედური არჩევნები გაიმართება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 1 თებერვალი, , ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31681552.html>, განახლებულია: 14.03.2022.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

¹⁴ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გარდაცვლილი დეპუტატის შვილი დაასახელა მაჟორიტარობის კანდიდატად ბათუმში“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 12 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31700619.html>, განახლებულია: 14.03.2022.

¹⁵ იქვე.

¹⁶ „ბადრი ჯაფარიძე შუალედურ არჩევნებში რუსთავის მაჟორიტარი კანდიდატი იქნება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 12 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31705128.html>, განახლებულია: 14.03.2022.

¹⁷ „პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე და ახალი წევრები აირჩია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/472863>, განახლებულია: 14.03.2022.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² „კენჭისყრის ანგარიში“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/289240?მ> განახლებულია: 20.12.21.

კანონმდებლობა ითვალისწინებდა ე.წ. ანტიკრიზისული მექანიზმის არსებობას. ამ მექანიზმის მიხედვით, თუ ცესკოს წევრის ან თამჯდომარის არჩევისას პირველ ჯერზე ვერ შეგროვდებოდა საკმარისი ხმები, კანდიდატს მეორე (2/3-ის უმრავლესობით), მესამე (3/5-ის უმრავლესობით), მეოთხე (უბრალო უმრავლესობით) ჯერზე ეყრებოდა კენჭი. კენჭისყრებს შორის დადგენილი იყო 4 კვირის ინტერვალი, ხოლო გარდამავალ ეტაპზე კენჭისყრის პროცესი ოთხიდან ერთ კვირამდე იყო შემცირებული. ანტიკრიზისული მექანიზმის კანონმდებლობაში შემოტანა გათვალისწინებული იყო ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტით და განსაზღვრული იყო იმ მიზნით, რომ კანდიდატის არჩევა მრავალპარტიული მხარდაჭერით და კონსენსუსის გზით მომხდარიყო,²³ ხოლო ანტიკრიზისული მექანიზმი პროცესის ჩიხური მდგომარეობის თავიდან აცილებას ემსახურებოდა.²⁴ დეკემბრის ცვლილებების მიხედვით კი, ცესკოს თავმჯდომარე და წევრები აირჩევიან არანაკლებ 2/3-ით ან სრული შემადგენლობის უმრავლესობით.²⁵ თუ პირველ ჯერზე კანდიდატი 2/3-ს ვერ მოიპოვებს, კენჭისყრა ხელახლა ჩატარდება.²⁶ ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ამ შემთხვევაში ის პოსტს არა 5 წლის ვადით, არამედ 6 თვით დაიკავებს.²⁷

IV. მიხეილ სააკაშვილის საქმე

7 თებერვალს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დაარეგისტრირა დადგენილების პროექტი საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ „შესაძლო ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტის“ შესასწავლად დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით.²⁸ კომისიის შესაქმნელად პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3-ის (50 ხმა) მხარდაჭერა იყო საჭირო.²⁹ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი 15 თებერვალს უნდა განხილულიყო, თუმცა, „ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ ფრაქციის თხოვნით, ეს საკითხი პლენარული სხდომის დღის წესრიგიდან ამოიღეს.³⁰ ამის მიზეზი, ხატია დეკანოიძის თქმით, ოპოზიციური პარტიების დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი გახდა.³¹

21 თებერვალს ე.წ. 7 ნოემბრის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სახალხო დამცველისა და ცენტრ „ემპათიას“ მიერ შექმნილი ექიმთა კონსილიუმის დასკვნების შესაბამისი მკურნალობის მიღების მოთხოვნით, კვლავ უვადო შიმშილობას დაიწყებდა.³² მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, პენიტენციური სისტემის შიგნით მისთვის ადეკვატური მკურნალობის ზომების ჩატარება შეუძლებელი იყო.³³ მან მოითხოვა, რომ მკურნალობის ჩატარების უფლება ჰოლანდიელ და ამერიკელ ექიმებს, ასევე, უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის და-

²³ „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3frBggU>, განახლებულია: 20.12.21.

²⁴ იქვე.

²⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

²⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

²⁷ იქვე.

²⁸ „საკაშვილის საკითხზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ პროექტი ბიუროზე დარეგისტრირდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31691290.html>, განახლებულია: 14.03.2022.

²⁹ იქვე.

³⁰ „პარლამენტში სააკაშვილის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი 15 თებერვალს აღარ განიხილება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704393.html>, განახლებულია: 14.03.2022.

³¹ იქვე.

³² „მიხეილ სააკაშვილმა კვლავ შიმშილობა დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 21 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/473978>, განახლებულია: 14.03.2022.

³³ იქვე.

ვალეებით შექმნილ კონსილიუმს მისცემოდა.³⁴ სააკაშვილმა შიმშილობა მას შემდეგ გამოაცხადა, რაც მოსამართლემ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა.³⁵ 23 თებერვალს ნიკა მელიამ „მიხილ სააკაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად“ მუდმივი აქციების ჩატარება დააანონსა.³⁶ მისი თქმით, მიხილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გზა მისი უცხოურ კლინიკაში გადაყვანა იყო. შესაბამისად, აქციების მთავარი მოთხოვნაც ეს იქნებოდა.³⁷

V. დეპუტატებისთვის მანდატის შეწყვეტა

15 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა სამ ოპოზიციონერ დეპუტატს: ბადრი ჯაფარიძეს, ელენე ხოშტარიასა და შალვა ნათელაშვილს დეპუტატის მანდატი შეუნყვიტა.³⁸ ბადრი ჯაფარიძისთვის მანდატის შეწყვეტის საფუძველი 12 იანვარს მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გახდა.³⁹ სასამართლომ ჯაფარიძე ჯგუფურ თაღლითობაში დამნაშავედ ცნო, თუმცა დანაშაულის ხანდაზმულობის გამო, სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა.⁴⁰ რაც შეეხება ხოშტარიასა და ნათელაშვილს, ისინი პარლამენტის არცერთ სხდომას არ დასწრებიან. არასაპატიო გაცდენა, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, მანდატის შეწყვეტის საფუძველი გახდა.⁴¹ მანდატი ასევე შეუნყვიტეს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე კახა კუჭავას, რომელმაც ამ მოთხოვნით პარლამენტს მანამდე თავად მიმართა.⁴²

დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტამდე რამდენიმე საათით ადრე ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ ლიდერმა ხატია დეკანოიძემ პარლამენტში ბრიფინგი გამართა.⁴³ მან ცესკოში ოპოზიციური პარტიების სურვილით გაუქმებული ე.წ. სათადარიგო სიების აღდგენა მოითხოვა.⁴⁴ სათადარიგო სიები გულისხმობს პროპორციულ სიას, საიდანაც მანდატშენყვეტილი ოპოზიციონერი დეპუტატების ადგილმონაცვლეების შერჩევა იქნებოდა შესაძლებელი. ამ სიების გაუქმება ოპოზიციურმა პარტიებმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პროტესტის ნიშნად მოითხოვეს.⁴⁵ სიების გაუქმების შედეგად, ზემოთ ჩამოთვლილი დეპუტატებისთვის მანდატის შეჩერების შემდეგ, მათი ადგილები პარლამენტში აუთვისებელი დარჩება. „მათი შეცდომის გამოსწორებას კანონების შეცვლის გზით არ ვაპირებთ“ - ასე გამოეხმაურა არჩილ თალაკვაძე

³⁴ იქვე.

³⁵ „სასამართლომ პენიტენციურ სამსახურს სააკაშვილის საქმეზე დავალება მისცა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 21 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31714305.html>, განახლებულია: 14.03.2022.

³⁶ „პრეზიდენტ სააკაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31718933.html>, განახლებულია: 14.03.2022.

³⁷ იქვე.

³⁸ „პარლამენტმა ნათელაშვილს, ხოშტარიას და ჯაფარიძეს დეპუტატის უფლებამოსილება შეუნყვიტა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704326.html>, განახლებულია: 14.03.2022.

³⁹ „ხაზარაძე და ჯაფარიძე დამნაშავედ ცნეს ჯგუფურ თაღლითობაში, თუმცა სასჯელისგან გაათავისუფლა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31650371.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ „პარლამენტმა ნათელაშვილს, ხოშტარიას და ჯაფარიძეს დეპუტატის უფლებამოსილება შეუნყვიტა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704326.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁴² „ბადრი ჯაფარიძეს, შალვა ნათელაშვილს, ელენე ხოშტარიასა და კახა კუჭავას დეპუტატის მანდატები შეუნყვიტეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/472868>, განახლებულია: 14.03.2022.

⁴³ „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციის გაუქმებული „სათადარიგო სიების“ აღდგენას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704287.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

ხატია დეკანოიძის მოთხოვნას.⁴⁶

დეპუტატებისთვის მანდატის შეწყვეტა პოლიტიკოსებმა განსხვავებულად შეაფასეს. „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რომ შალვა ნათელაშვილის პარლამენტში შემოყვანის გადაწყვეტილება მას არ მიუღია, შესაბამისად, არც მისი გაშვების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს.⁴⁷ პარლამენტის წევრ ალექოელისაშვილის აზრით, შალვა ნათელაშვილისთვის მანდატის შეწყვეტით სახელმწიფო ფულს დაზოგავს.⁴⁸ პარტია „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ მისი თანაგუნდელი ბადრი ჯაფარიძისთვის მანდატის შეწყვეტა „პოლიტიკური დევნის“ გამოხატულებად დაახასიათა.⁴⁹ ბადრი ჯაფარიძემ 15 თებერვალს მანდატის შეწყვეტა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების დროს მისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერებას შეადარა.⁵⁰ მან ასევე გადაწყვიტა, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს.⁵¹ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ბადრი ჯაფარიძემ წარსულში ჩადენილი დანაშაული არ მოინანია და ეს გახდა მის მიმართ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.⁵² დეპუტატებისთვის მანდატის შეწყვეტის საკითხს ქვეყნის პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქის“ გვერდზე მოკლე განცხადებით გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ ქვეყნის შიდა და გარე გამოწვევების ფონზე, დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას არ დაეთანხმებოდა.⁵³

მომხდარზე კომენტარი გააკეთა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, კარლ ჰარცელმა.⁵⁴ ელჩის შეფასებით, ოპოზიციური პარტიების წევრებისთვის მანდატების შეწყვეტის შესახებ არჩევანი „შესაძლოა, პარლამენტში პოლიტიკური ინკლუზიურობისა და დემოკრატიული პლურალიზმის ხარჯზე“ გაკეთდა.⁵⁵

⁴⁶ „თალაკვაძე ოპოზიციის „სათადარიგო სიების“ აღდგენაზე: მათი შეცდომის გამოსწორებას არ ვაპირებთ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704509.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁴⁷ „ხვიჩია: ნათელაშვილი პარლამენტში არ შემომიყვანია, გაშვების უფლებასაც ჩემს თავს ვერ მივცემ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704553.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁴⁸ „ელისაშვილი: ნათელაშვილისთვის მანდატის შეწყვეტით ფულს დაზოგავს ჩემი სახელმწიფო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704631.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁴⁹ „მამუკა ხაზარაძე ბადრი ჯაფარიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტაზე: სირცხვილია, როცა ასეთი ყურმოჭრილი ხელისუფლება გყავს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704986.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁵⁰ „ბადრი ჯაფარიძე: ეს დარბაზი მაქვს აოხრებული ნანახი... მაშინ გადატრიალების დროს შემინყდა უფლებამოსილება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704724.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁵¹ „ჯაფარიძე დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31705064.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁵² „კობახიძის თქმით, ჯაფარიძემ არ მოინანია და ამის გამო პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31707965.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁵³ „სალომე ზურაბიშვილი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას ეწინააღმდეგება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31704858.html>, განახლებულია: 14.03.2022.

⁵⁴ „ევროკავშირი სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოების ხელმძღვანელების დანიშვნაზე“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/473317>, განახლებულია: 14.03.2022.

⁵⁵ იქვე.

VI. საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები

10 თებერვალს ბრიუსელში საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრების მონაწილეობით ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების მეათე სხდომა გაიმართა.⁵⁶ ასოცირების კომიტეტი საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული შეთანხმების განხორციელებას ადევნებს თვალს.⁵⁷ შეხვედრას ევროპარლამენტარი მარინა კალიურანდი და საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილი ხელმძღვანელობდნენ.⁵⁸

14 თებერვალს სხდომის შედეგებთან დაკავშირებით მარინა კალიურანდმა განაცხადა, რომ ევროპარლამენტარები მიესალმებოდნენ საქართველოს მზადყოფნას, საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაციაში მოეყვანა, თუმცა მისი აზრით, კვლავ მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება იყო საჭირო სასამართლოს დამოუკიდებლობის მიმართულებით. ასევე, შემაშფოთებელი იყო 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული შეფასებები.⁵⁹ ევროპარლამენტარმა ასევე ახსენა 19 აპრილის შეთანხმებაც და აღნიშნა, რომ იგი ქვეყანას დემოკრატიული განვითარებისა და კანონის უზენაესობის მიღწევის გზას სთავაზობდა.⁶⁰

17 თებერვალს, უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის საფრთხის ფონზე, ევროპარლამენტმა გამოაქვეყნა რეზოლუცია, რომლითაც გაიმეორა, რომ საქართველოს და უკრაინას ევროპული პერსპექტივა გააჩნიათ.⁶¹ რეზოლუციამ ხაზი გაუსვა, რომ ორივე ქვეყანას შეეძლო ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება, თუ ისინი კოპენჰაგენის კრიტერიუმებსა და დემოკრატიის პრინციპებს დააკმაყოფილებდნენ, ასევე, პატივს სცემდნენ კანონის უზენაესობას და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.⁶² რეზოლუციაში ევროპარლამენტმა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოუწოდა, საქართველოსა და უკრაინის ევროპული პერსპექტივების აღიარებისკენ, რაც მათი უსაფრთხოებისთვის „სასიცოცხლო მნიშვნელობის“ მატარებელი და შიდა რეფორმების გასატარებლად ბიძგის მიმცემი იქნებოდა.⁶³ ამასთან, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას ასოცირების შეთანხმების სრული იმპლემენტაციისკენ მოუწოდა.⁶⁴

⁵⁶ „ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების მეათე სხდომა გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/472889>, განახლებულია: 14.03.2022.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ „ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების მეათე სხდომა გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/472889>, განახლებულია: 14.03.2022.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ „European Parliament resolution of 17 February 2022 on the implementation of the common foreign and security policy - annual report 2021“, ევროპული პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3i0oXtl>, 16, განახლებულია: 14.03.2022.

⁶² იქვე.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

VII. საქართველო 2021 წლის დემოკრატიის ინდექსში

11 იანვარს ჟურნალ „ეკონომისტის“ კვლევითმა განყოფილებამ (The Economist Intelligence Unit) 2021 წლის დემოკრატიის ინდექსის ანგარიში გამოაქვეყნა.⁶⁵ ანგარიშის თანახმად, საქართველოს ქულა დემოკრატიის ინდექსში უკვე ოთხი წელია, რაც უარესდება და 2021 წელს 5.12 ქულამდე დაეცა. ანგარიშის პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიკაციის მიხედვით საქართველო „ჰიბრიდული რეჟიმების“ კატეგორიაში მოექცა.⁶⁶ ანგარიშმა მიუთითა, რომ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების შეფერხებაში წვლილი „რამდენიმე მღელვარე მოვლენამ“ შეიტანა, მათ შორის კი კულმინაციური მნიშვნელობის ყოფილი პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება იყო.⁶⁷ ანგარიში 2021 წელს ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევებსა და გამჭვირვალობის ნაკლებობას, ასევე, მმართველი პარტია სარგებლობდა ფინანსური და სხვა უპირატესობებით, რამაც ჯანსაღი საარჩევნო კონკურენციის ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა.⁶⁸ ანგარიშმა ერთ-ერთ პრობლემად პოლიტიკური დაძაბულობის შედეგად გაჩენილ ღრმა პოლარიზაცია და სოციალური დაყოფაც დაასახელა.⁶⁹

⁶⁵ „საქართველოს ქულა დემოკრატიის ინდექსში უარესდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 11 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/472427>, განახლებულია: 14.03.2022.

⁶⁶ „Democracy Index 2021: China Challenge“, ჟურნალ „ეკონომისტის“ კვლევითი განყოფილების ოფიციალური ვებგვერდი, 45, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3w8CHeh>, განახლებულია: 14.03.2022.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე.